

სიბუჯიცია:

უნივერსიტეტში სწავლის საფასუხის გადასახდედად 5000 დახის ოდენობით სესხი გჭიხდებათ. ყოველთვიური შემოსავალი იჯახის სახით გაქვთ, ხომელიც 1500 დახს შეადგენს.

მოცემულია 4 ბანკის შეთავაზება. გაეცანით თითოეულს. პასუხების ბარათში შეავსეთ და მოიფიქრეთ: კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეარჩევთ ბანკს, შეაფასეთ თითოეული ბანკის შემოთავაზება ამ კრიტერიუმის მიხედვით და მიიღეთ გადაწყვეტილება ჯგუფში, რომელ ბანკს აირჩევდით? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

შემათავაზება N1: ბანკი A	
ბანკი A უკვე 20 წელია, რაც საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებს. მის მმართველ გუნდში როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტები არიან დასაქმებულნი. ბანკი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობს საერთაშორისო ბირჟაზე.	
ბანკს ფილიალების ფართო ქსელი აქვს და ამასთან, მომხმარებლებს თითქმის ყველა ოპერაციას ინტერნეტბანკის მეშვეობითაც სთავაზობს.	
ბანკის რეკლამაა: „თუ გსურთ მოგზაურობა, საჩუქრის გაკეთება, ნივთის შეძენა, იდეა გაქვთ, განსახორციელებლად კი, თანხა გჭირდებათ, ჩვენი სამომხმარებლო სესხით ნებისმიერი საჭიროებისთვის ისარგებლეთ.“	
მიზნობრიობა	ნებისმიერი
სესხის თანხა	500 – 10 000 ლარი
სესხის ვადა	6 – 36 თვე
საპროცენტო განაკვეთი	15%
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	16.74%
გაცემის საკომისიო	2%, მინიმუმ 40 ლარი
ყოველთვიური მომსახურების საკომისიო	1 ლარი
წინსწრებით დაფარვის საკომისიო	2%
სესხის უზრუნველყოფა	თავდებობა
მსესხებელი	საქართველოს მოქალაქე
შემოსავალი	ხელფასი, იჯარა, გზავნილები
შემოსავლის დადასტურების გზა	სახელფასო ამონაწერი, საიჯარო ხელშეკრულება, გზავნილების ამონაწერი

ბანკის შემოთავაზების შეჩვენება

შემაჯავებელი N2: ბანკი B

ბანკი B უკვე 15 წელია, რაც საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებს. მის მმართველ გუნდში როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტები არიან.

ბანკს ფილიალების ფართო ქსელი აქვს და ამასთან, მომხმარებლებს თითქმის ყველა ოპერაციას ინტერნეტბანკის მეშვეობითაც სთავაზობს.

ბანკის რეკლამაა: „მოქნილი სამომხმარებლო სესხის აღება უკვე ნებისმიერი მიზნობრივობით შეგიძლიათ. ნებისმიერ დროს, თუ თანხა გაგიჩნდათ ან სხვა უფრო უკეთეს პირობას შემოგთავაზებთ, მის გადაფარვას ჩვენთან ყოველგვარი წინსწრების საკომისიოს გარეშე ნებისმიერ დროს შეძლებთ.“

მიზნობრიობა	ნებისმიერი სამომხმარებლო მიზნობრიობა
სესხის თანხა	500 – 20 000 ლარი
სესხის ვადა	6 – 48 თვე
საპროცენტო განაკვეთი	13%
უფექტური საპროცენტო განაკვეთი	18.1%
გაცემის საკომისიო	2%, მინიმუმ 40 ლარი
ყოველთვიური მომსახურების საკომისიო	5 ლარი
წინსწრებით დაფარვის საკომისიო	0%
სესხის უზრუნველყოფა	არ მოითხოვება
მსესხებელი	საქართველოს მოქალაქე
შემოსავალი	ხელფასი, იჯარა, გზავნილები
შემოსავლის დადასტურების გზა	სახელფასო ამონაწერი ბანკიდან ან შემოსავლების სამსახურიდან, საიჯარო ხელშეკრულება, გზავნილების ამონაწერი

ბანკის შემოთავაზების შეჩვენება

შემაჯავებელი N3: ბანკი C

ბანკი C 5 წელია, რაც საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებს. სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში სხვადასხვა კამპანიასა და აქციას ახორციელებს. ორიენტირებულია გარემოს დაცვაზე.

ბანკს ფილიალები და ბანკომატები შეზღუდული რაოდენობით აქვს, თუმცა მომხმარებლებს ნებისმიერ ოპერაციას დისტანციურად, ინტერნეტბანკის საშუალებით სთავაზობს.

ბანკის რეკლამაა: „სესხის აღება ნებისმიერი მიზნით სახლიდან გაუსვლელად და სწრაფად შეგიძლიათ.“

მიზნობრიობა	ნებისმიერი სამომხმარებლო მიზნობრიობა
სესხის თანხა	200 – 5000 ლარი
სესხის ვადა	12 – 48 თვე
საპროცენტო განაკვეთი	13.4%
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	19.2%
გაცემის საკომისიო	2%
თანხის გატანის საკომისიო	0.2%
წინსწრებით დაფარვის საკომისიო	2%
სესხის უზრუნველყოფა	თავდებობა
მსესხებელი	საქართველოს მოქალაქე
შემოსავალი	ხელფასი, იჯარა, გზავნილები
შემოსავლის დადასტურების გზა	სახელფასო ამონაწერი ბანკიდან ან შემოსავლების სამსახურიდან, საიჯარო ხელშეკრულება, გზავნილების ამონაწერი

ბანკის უპროტავანზების შეზღუდვა

შემოთავაზება N4: ბანკი D

ბანკი D 10 წელია, რაც საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებს. ბანკი მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს. ის საერთაშორისო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობს.

ბანკის რეკლამაა: „თუ 18 წლის ხართ და ხელფასი გერიცხებათ, სამომხმარებლო სესხებს ნებისმიერი მიზნობრიობით, უზრუნველყოფის გარეშე გთავაზობთ“.

მიზნობრიობა	ნებისმიერი სამომხმარებლო მიზნობრიობა
სესხის თანხა	300 – 10 000 ლარი
სესხის ვადა	3 – 48 თვე
საპროცენტო განაკვეთი	12.5%
ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	15 %
გაცემის საკომისიო	2%
სესხის უზრუნველყოფა	არ მოითხოვება
მსესხებელი	საქართველოს მოქალაქე
შემოსავალი	ხელფასი
შემოსავლის დადასტურების გზა	სახელფასო ამონაწერი ბანკიდან ან შემოსავლების სამსახურიდან

ბანკის შემოთავაზების შეჩვენება

პასუხების ფურცელი მოსწავლეებისთვის:

ჯგუფის გადაწყვეტილების ბარათი (თითო ჯგუფზე ერთი ბარათი იყვება):

შეაფასეთ წარმოდგენილი ბანკები. ამისთვის მოიფიქრეთ შეფასების კრიტერიუმები, ამ კრიტერიუმებით შეაფასეთ თითოეული ბანკი, გააკეთეთ არჩევანი და მიიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება.

ალტერნატივები	შეფასების კრიტერიუმები					
ბანკი A						
ბანკი B						
ბანკი C						
ბანკი D						
ჯგუფის გადაწყვეტილება						

ბანკის შემოთავაზების შეჩევა

პასუხების ფურცელი